

ცხოვრების უნარები მსხვერპლ-ზუღერ მოზარდებში

სალომე ყურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა

და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური

ფსიქოლოგია): კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ყურაშვილი, 2016 წელი

აბსტრაქტი

ბულინგი სკოლებში ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი დაკავშირებულია ქცევით, ემოციონალურ და სოციალურ პრობლემებთან და აქვს გრძელვადიანი ნეგატიური შედეგები. ბულინგის პროცესში ჩართული მოზარდები იყოფიან სამ კატეგორიად: ბულერი, მსხვერპლი და მსხვერპლ-ბულერი. ამათგან ყველაზე მეტი სპეციფიურობით და სირთულით მსხვერპლ-ბულერთა ჯგუფი ხასიათდება. მსხვერპლ-ბულერებს ფსიქიკური დარღვევების განვითარების, მათ შორის შფოთვის, დეპრესიის, ფსიქოზის, ნივთიერების ბოროტად გამოყენების და ანტი-სოციალური პიროვნული აშლილობის (Sourander et al 2007b) განსაკუთრებით მაღალი რისკი აქვთ. მსხვერპლ-ბულერები დანარჩენი მოზარდებისგან პრობლემაზე ემოციური გამკლავების სტილით განსხვავდებიან. მაგალითად, ისინი ჩაგვრაზე რეაგირებენ ემოციით, მუქარით ან ფიზიკური აგრესიით, რაც იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ არ გააჩნიათ ცხოვრებისეული მოთხოვნებისა და გამოწვევებისთვის ადეკვატური გამკლავების უნარი. ჯგუფის ზეგავლენასთან გამკლავების, პრობლემის ადეკვატურად გადაჭრის, სტრესის დაძლევის, თვითმართვის და ა.შ. შესაძლებლობას ცხოვრების უნარები იძლევა. არსებული კვლევის მიზანს მსხვერპლ-ბულერ მოზარდებში ცხოვრების უნარების დონის გაზომვა და მსხვერპლ - ბულერობის მაჩვენებელსა და ცხოვრების უნარების დონეს შორის ურთიერთმიმართების დადგენა წარმოადგენდა. კვლევაში მონაწილეობდა 13-17 წლამდე 146 მოზარდი. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად, პირველი ეტაპს სკრინინგის ფუნქცია ჰქონდა, გამოვლინდა მსხვერპლ-ბულერთა ჯგუფი, გაიზომა მათი ცხოვრების უნარების დონე, დადგინდა ურთიერთმიმართება მსხვერპლ-ბულერობის მაჩვენებელსა და ცხოვრების უნარების დონეს შორის, მსხვერპლ-ბულერობის ტიპსა და ცხოვრების უნარებს შორის, ასევე გამოვლინდა სქესობრივი განსხვავებები. შედეგების თანახმად მსხვერპლ-ბულერ მოზარდებში ყველაზე დეფიციტურია კარიერის დაგეგმვის, თვითმართვის, პრობლემის გადაჭრის, სტრესის გამკლავების, საკუთარი სხეულის მიღების, სწავლის მეთოდების, სათემო

პასუხისმგებლობის, ჰუმანური იდეების და კულტურული ორიენტაციის უნარები. მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს, მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით ცხოვრების უნარების უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ. მდედრობით სქესში მსხვერპლ-ბუღერობის მაჩვენებელსა და ცხოვრების უნარებს შორის სანდრო კორელაცია არ გამოვლენილა. მამრობით სქესში სანდრო უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა მსხვერპლ-ბუღერობის ზოგად მაჩვენებელსა და ცხოვრების უნარების ერთ-ერთ სკალას - ცხოვრების ორიენტაციას შორის, ასევე უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა საკუთარი სხეულის მიმღებლობას, დროისა და თვითმართვის უნარებთან.